ვ.რ. ლეგოიდა: უკრაინის ხელისუფლების ქმედებები მიზნად ისახავს მარხვის დღეებში კიევ-პეჩერის ლავრის სიწმინდეების დემონსტრაციულ შეურაცხყოფას



სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 29.03.2025. 2025 წლის 28 მარტს პოლიციის თანამშრომლებისა და ნაკრძალის წარმომადგენლების ერთობლივი ძალისხმევით მოხდა კიევ-პეჩერის ლავრის ახლო და შორეული მღვიმეების მიტაცება. მანამდე უკრაინის კულტურის სამინისტრომ შექმნა კომისია, რომელიც „წმინდანთა ნეშტებს შეამოწმებს“. კომისია 30 მაისამდე იმუშავებს, მისმა წევრებმა „უნდა შეაფასონ პეჩერელი ღირსი მამების ნეშტების ისტორიული და სამეცნიერო ღირებულება“, ასევე შეადგინონ იმ ნივთების ნუსხა, რომლებიც კულტურული ფასეულობების განსაზღვრას ექვემდებარება. კომისიის მუშაობის შედეგები გასაიდუმლოებული იქნება და მიიღებს „შეზღუდული წვდომის ინფორმაციის“ სტატუსს, – იუწყება **РИА «Новости».**

ამასთან დაკავშირებით, საზოგადოებასთან და მედიასთან ეკლესიის ურთიერთობის სინოდალური განყოფილების თავმჯდომარემ, ვ.რ. ლეგოიდამ თავის ტელეგრამ-არხზე შემდეგი კომენტარი გააკეთა: „უკრაინის ხელისუფლების ქმედებები, რომლებიც მიზნად ისახავს მარხვის დღეებში კიევ-პეჩერის ლავრის რელიგიური სიწმინდეების დემონსტრაციულ შეურაცხყოფას, მკაფიოდ გამოხატავს ამის უკან მდგომი ადამიანების ხასიათს. ისენი შეპყრობილები არიან, სულ იმას ცდილობენ, რომ ეკლესია გაანადგურონ და მორწმუნეები დაჩაგრონ. მაგრამ რწმენის დამარცხება შეუძლებელია, და ქრისტიანობის ისტორიამ ეს არაერთხელ დაამტკიცა“.

ეკლესიის წარმომადგენელმა გამოთქვა რწმენა, რომ „უკანონობისა და განუკითხაობის ზეიმი ადრე თუ გვიან დასრულდება და ყველა დამნაშავე ღმერთისა და ხალხის წინაშე აგებს პასუხს“.

„დასავლეთის ქვეყნები, ჩვეულებრივ, აქეზებენ ასეთ აქციებს, აძლევენ რა უღმერთოებს კარტ-ბლანშს ისტორიული მართლმადიდებლობის გასანადგურებლად, რომელიც ერთია რუსეთისა და უკრაინისთვის. ამავე დროს, მსურს იმედი ვიქონიო, რომ იქაც მოიძებნებიან პასუხისმგებელი პოლიტიკოსები, რომლებიც აღარ მოინდომებენ საკუთარი თავის ასოცირებას მორწმუნეების დაცინვასთან“, -– განაცხადა რ.ვ. ლეგოიდამ.

«Патриархия.ru»-ს საიტის ინფორმაციით

«Первый козацкий»-ს ტელეგრამ-არხის ფოტო

წყარო: https://mospat.ru/ge/news/93027/